ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №77574

ნომერი: AR128100

თარიღი : 06.03.2012

გაცემის თარიღი : 12.03.2012

გაცნობის თარიღი : 13.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი სამგორი , N 3ა , (ნაკვეთი N3/59) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ჭელიძე პ/ნ 01017023399
- თბილისი ო.თუმანიანის ქ. N 19

ორგანიზაცია:

- ი/მ სოფიო ჭელიძე კოდი: 01017023399

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. აღნიშნულ ობიექტზე #12/154670-13 21.11.11 წელს გაიცა წერილობითი თანხმობა შენობის დემონტაჟის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე კი სწორედ ამ შენობაზე ითხოვთ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას. მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს აღნიშნული საკითხი და იმ შემთხვევაში თუ არ ხორციელდება სადემონტაჟო სამუშაოები, ღიობების მოწყობასთან ერთად მოთხოვნილი იქნას #12/154670-13 21.11.11წ. წერილის გაუქმებაც.
2. ნებართვის მიღებისას სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ (შ.პ.ს. "ენენქეი"-ს დირექტორმა გიორგი პეტრიაშვილმა), მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა (ასეთ შემთხვევაში "წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში ატვირთული უნდა იქნას შესაბამისი მინდობილობა). იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესებულია ფართის მოსარგებლე, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, ჩასატრებელი სამუშაოების თაობაზე, რომლის ატვირთვაც შესაძლებელია "ფართის მესაკუთრეთა თანხმობის" ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.